ბრძანება:**ბ126. 126242606**
თარიღი:**16/09/2024**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 54-ე მუხლის, 119-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-10, მე-11 პუნქტების, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, წალენჯიხის მუნიციპლიტეტის 2024 წლის 30 აგვისტოს N27 განკარგულების და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის 2024 წლის 9 სექტემბრის N 2 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ:

I. გამოცხადდეს უპირობო და პირობიანი ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების :

1. 1. ქ. წალენჯიხა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 292 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.11.43.603- 12400 ლარი
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 12400 ლარი
ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---1300 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს----150 ლარი.

2. ქ. წალენჯიხა ზღვაიას დასახლებაში მდებარე შენობა-ნაგებობის დაშლა- გატანა ს/კN47.11.48.125- 3100 ლარი (პირობიანი)
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს ---3100 ლარი
ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---350 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 50 ლარი.

3. ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 50 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.02.34.571-1500 ლარი
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 1500 ლარი
ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---150 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს----50 ლარი.

II. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით, ხოლო არა სამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე

პირველივე სამუშაო დღეს.
III. დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მდივანს ნინო ძიძარიას უზრუნველყოს საუქციონო განცხადების www.eauction.ge.-ზე განთავსება.
IV. ელექტრონულ აუქციონის ფორმით, ქონების პრივატიზებისას „ბე“-ს საფასურის გადახდა განხორციელდეს საბანკო ანგარიშებზე, ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში: (მოძრავი ქონებაზე - N300393332; უძრავ ქონებაზე- N300393313; არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - N300393390) სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში: მოძრავ ქონებაზე--N300393224; უძრავ ქონებაზე--N300393212; მიწაზე-- N3003933047.
V. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
VI. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი ხარჩილავა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი